საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №2
2019 წლის 9 იანვარი

ქ. თბილისი

„სამინისტროებისა და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვისა და ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №419 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,
ვბრძანებ:

მუხლი 1

„სამინისტროებისა და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვისა და ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №419 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 31/12/2014, სარეგისტრაციო კოდი: 190040000.22.033.016704) დამტკიცებულ:

1. „სამინისტროებისა და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვისა და ხარჯვის წესში“ (დანართი №1) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე-2 მუხლის:

ა.ა) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ცნობით დასადასტურებლად საქართველოს ფინანსთა სამინისტროში უნდა წარადგინონ ამ ბრძანების დანართი №2-ით გათვალისწინებული შევსებული ფორმა ერთ ეგზემპლარად. ფორმის წარდგენა შესაძლებელია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით. ფულადი გრანტის/მიზნობრივი დაფინანსების ცნობით დაუდასტურებლობის შემთხვევაში საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წერილობითი ფორმით ატყობინებს შესაბამის სამინისტროს ან უწყებას.“;

ბ) მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს 5^1 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„5^1. ამ ბრძანების №2 დანართში აისახება დონორთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში გადასახდელი ფულადი გრანტის/მიზნობრივი დაფინანსების მიმდინარე წლის წლიური მოცულობა.“.

2. „სამინისტროებისა და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების შესახებ ხარჯთაღრიცხვის ფორმა“ (დანართი №2) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან .

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ივანე მაჭავარიანი**